



საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური

GEORGIA
Administration
of Kutaisi Municipality



4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-04-93
3 Rustaveli Ave. Kutaisi. Georgia. 4600
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-04-93

N 01/18564
21/08/2019

18564-01-2-201908211727



ფაქტ-მეტრის რედაქტორს
დავით გამისონიას
ელ.ფოსტა: info@factcheck.ge
teonaabsandze@gmail.com

ბატონო დავით,

N21031/01 07.08.2019 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ააიპ „ქუთაისის ტურიზმის ცენტრმა“ ფუნქციონირება დაიწყო 2017 წელს. 2019 წელს ცენტრი გადაკეთდა იმერეთის სამსახურად და შეიცვალა სახელი - ააიპ „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია - დმო იმერეთი“.

- ბიუჯეტი

2017 წელი	233 000 ლარი
2018 წელი	521 000 ლარი
2019 წელი	710 000 ლარი

- ააიპ „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია - დმო იმერეთის“ ბიუჯეტს აქვს მხოლოდ სუბსიუდირების მუხლი. ბიუჯეტის თანხა მიმართულია წესდების მიხედვით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად, კერძოდ:

- ტურისტების მომსახურება.
- პოლიგრაფიის ბეჭდვა.
- პროექტები/ღონისძიებები/ფესტივალი.
- ტრენინგები/სემინარების ტურიზმის სფეროში დასაქმებულთათვის.
- ინფოტურები, მედიატურები, საიმიჯო კლიპი საინფორმაციო/სარეკლამო კამპანიები რეგიონის ცნობადობის ამაღლებისათვის.
- საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა.
- ადმინისტრაციული ხარჯები.

- დაფუძნების დღიდან არც ერთხელ არ გაცემულა პრემია, მხოლოდ ერთხელ 2018 წელს გაიცა სახელფასო დანამატი ზეგანაკვეთური სამუშაოებისათვის, რომელიც გაწიეს ცენტრის თანამშრომლებმა ქუთაისის შესახებ საიმიჯო კლიპის შექმნაზე. მუშაობა გადამღებ ჯგუფთან ერთად, ძირითადად მიმდინარეობდა არასამუშაო საათებში და რიგ შემთხვევაში დასვენების დღეებშიც.

წელი	თანამშრომელთა რაოდენობა	ხელფასი	სახელფასო დანამატი
2017 (აპრილი-დეკემბერი)	12	70 200 ლარი	0
2018	14	123 100 ლარი	2240 ლარი (10 თანამშრომელი)
2019 (იანვარი-ივნისი)	14	66 000 ლარი	0

- მივლინება ააიპ „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია - დმო იმერეთის“ შემთხვევაში მოიცავს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის სხვადასხვა ხარჯებს: სტენდის იჯარა, სასტუმროს ხარჯი, ბილეთების თანხა, სამივლინებო თანხა.
ააიპ „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია - დმო იმერეთის“ საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია რეგიონის წარდგენა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე, რომლის მიზანია მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე რეგიონის ცნობადობის ზრდა და ტურისტების მოზიდვა. დმო - იმერეთი წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან“ ერთად ადგენს სიას, თუ რომელ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღებს ცენტრი მონაწილეობას.
თითოეული გამოფენა არის საშუალოდ 3-5 დღიანი, შესაბამისად განისაზღვრება მივლინების ხანგრძლივობა.

წელი	დანიშნულების ადგილი	მივლინებულ პირთა რაოდენობა	გამოყოფილი თანხა (სტენდის იჯარა, სასტუმროს ხარჯი, ბილეთების თანხა, სამივლინებო თანხა)
2017	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „Отдых leisure“ მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია.	2 თანამშრომელი	13 187,51 ლარი.
2017	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „Tourism EXPO Japan 2017“, ტოკიო, იაპონია.	2 თანამშრომელი	20,713, 67 ლარი.

2017	საერთაშორისო გამოფენა TT-Warsaw, ვარშავა, პოლონეთი.	4 თანამშრომელი	12,478,12 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა EMITT, სტამბული, თურქეთი	3 თანამშრომელი	8676,55 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა IMTM, თელავივი, ისრაელი	3 თანამშრომელი	12377.87 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა Tour Salon, პოზნანი, პოლონეთი.	2 თანამშრომელი	2893.10 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ITB, ბერლინი, გერმანია.	2 თანამშრომელი	16,376,74 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა UITT, კიევი, უკრაინა.	3 თანამშრომელი	12707.37 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა Top Resa, პარიზი, საფრანგეთი.	3 თანამშრომელი	19879,86 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა TTG, რიმინი, იტალია.	2 თანამშრომელი	13086, 36 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა WTM, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი.	3 თანამშრომელი	16,880,79 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა IBTM, ბარსელონა, ესპანეთი.	3 თანამშრომელი	14860.78 ლარი.
2018	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა TT Warsaw, ვარშავა, პოლონეთი	3 თანამშრომელი	8938,65 ლარი.
2019	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „Ferien-Messe, ვენა, ავსტრია.	2 თანამშრომელი	11681,46 ლარი.
2019	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „FITUR 2019“, მადრიდი, ესპანეთი.	2 თანამშრომელი	7316,32 ლარი.
2019	საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა „NEW YORK TIMES TRAVELSHOW2019“,ნიუ-იორკი, აშშ.	2 თანამშრომელი	19043,44 ლარი.
2019	საერთაშორისო	3 თანამშრომელი	9342,3 ლარი.

--	--	--	--

მივლინების ხარჯის პროცენტი საერთო ბიუჯეტში წლების მიხედვით:

წელი	მივლინების საერთო ხარჯი	საერთო ბიუჯეტში ხარჯის პროცენტი
2017	46484,30 ლარი	19%
2018	126778 ლარი	24%
2019	72480,64 ლარი	10%

პატივისცემით,

ლევან კინწურაშვილი

ლევან კინწურაშვილი



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული
ადმინისტრაციული სამსახური